საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ი ”-ს „ხულოს მუნიციპალური სერვისი”-ს

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2019 წ. - 31.12.2020 წ.)

ხულო

2021 წ.

აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისები

აუდიტის ობიექტის მისამართი - დ.ხულო, დ. აღმაშენებლის ქუჩა № 3

თემა - შესაბამისობის აუდიტი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, 2020 წლის 24 დეკემბრის № 705 ბრძანებით დამტკიცებული ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა.

აუდიტის ჯგუფი - ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე, სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიკო ქონიაძე.

აუდიტის ვადა - 01.02.2021 წ. – 01.03.2021წ.

აუდიტის პერიოდი - 01.01.2019 წ. – 31.12.2020 წ.

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისების შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2019 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე განვლილ პერიოდს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით სადაც ასახულია ა(ა)იპ-ს მდგომარეობას 2019 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის მიმოხილვა:

„ხულოს მუნიციპალური სერვისი"-ს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხულოს მუნიციპალური სერვისი"-ს " დაფუძნებულია ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2018 წლის 22 იანვრის №21 ბრძანებით და იგი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი კავშირი. 22/01/2018 წლის ხულოს მუნიციპალიტეტის მერის N18 ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ხულოს მუნიციპალური სერვისების **წესდება**. ა(ა)იპ-ის შიგა 22/01/2018 წ. N1 ბრძანებით დამტკიცებულია **დაწესებულების შინაგანაწესი.**

ორგანიზაციის შინაგანაწესში არ არის სრულყოფილად განსაზღვრული დაწესებულების მიზანი, პრინციპები, სამუშაო დრო დასაქმებულთა ძირითადი

ვალდებულებები, დაწესებულების შინაგანაწესი სრულად არ აკმაყოფილებს არსებულ ნორმებს.

რეკომენდაცია:

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისებმა შინაგანაწესში განსაზღვროს დასაქმებულთა ძირითადი ვალდებულებები, სამუშაო დრო და სხვა შინაგანაწესისათვის აუცილებელი და სავალდებულო ნორმები. ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალური სერვისებმა განახლოს შინაგანაწესი არსებული და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ-ი ხულოს მუნიციპალური სერვისი აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, შტამპი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

ა(ა)იპ-ი ხულოს მუნიციპალური სერვისი ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, წესდების და საკუთარი შინაგანაწესის საფუძველზე. ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, რომელიც ახორციელებს დამფუძნებლის უფლებამოსილებებს.

ა(ა)იპ-ი ხულოს მუნიციპალური სერვისი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. გაერთიანების იურიდიული მისამართია: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, დ.აღმაშენებლის ქ №3

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა და კანონიერება.

ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალური სერვისების 2019 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 455 196 ლარით ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით შეადგინა 2019 წელში 452 216 ლარი, ხოლო 2020 წელში დამტკიცებული და დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 478 082 ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 2020 წელს 452 216 ლარი, ხოლო 2020 წელს 478 082 ლარი.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურება პრემიის ჩათვლით 2019 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 56 840 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 55 855 ლარი .2021 წელს კი გეგმით გათვალისწინებული იყო 58 280 , საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 58 280 ლარი

საქონელი და მომსახურება მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 2019 წელს 398 156 ლარი. გაწეულია საკასო ხარჯი 396 361 ლარი. 2020 წელს კი **საქონელი და მომსახურება** მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 419 802 ლარი, გაწეულია საკასო ხარჯი 419 802 ლარი.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასი გეგმით შეადგენს 2019 წელს 216 300 ლარი, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 216 235 ლარი.2020 წელს გეგმით 228 091 ლარი, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 228 091 ლარი.

მივლინების ხარჯის მუხლით 2019 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 500 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 485 ლარი. 2020 წელს სამივლინებო ხარჯები არ ქონია.

ოფისის ხარჯი დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 2019 წელს 23 010 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი შეადგენს 21 354 ლარს, დაგეგმილზე 1 656 ლარით ნაკლებს. ფაქტობრივი ხარჯვა შეადგენს 26 820 ლარს. 2020 წელს ოფისის ხარჯი დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 18 778 ლარი, საკასო ხარჯი შეადგენს 18 778 ლარს.

რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 2019 წელს გათვალისწინებული იყო 4500 ლარი, საკასო შესრულება 4500 ლარი. 2020 წელს რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები იყო 4500 ლარი, საკასო შესრულება 4500 ლარი.

სხა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლით გათვალისწინებული იყო 2019 წელს 52 706 ლარი, საკასო შესრულება 52 686 ლარი. სხა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლით გათვალისწინებული იყო 2020 წელს 62 280 ლარი, საკასო შესრულება 62 280 ლარი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 2019 წელში დაგეგმილი იყო 101 140 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 101 101 ლარი. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 2020 წელში დაგეგმილი იყო 106 153 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 106 153 ლარი.

2019 წლის შტატის მომუშავეთა რიცხოვნება დაგეგმილი იყო 10 თანამშრომელი ფაქტიურად 10 თანამშრომელი, შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა დაგეგმილი იყო 69 ფაქტიურად მუშაობდა 69 თანამშრომელი. 2020 წლის შტატის მომუშავეთა რიცხოვნება დაგეგმილი იყო 10 თანამშრომელი ფაქტიურად 10 თანამშრომელი, შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა დაგეგმილი იყო 64 ფაქტიურად მუშაობდა 64 თანამშრომელი.

პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება

1. 2020 წლის 24 იანვრის ხელშეკრულება N15 გაფორმებული ი.მ. თენგიზ ბოლქვაძესთან, საკანცელარიო და საოფისო საქონელზე 3112 ლარის ღირებულების.

   აღნიშნული საქონელი მიღებულია მიღება-ჩაბარების აქტით N8. მაგრამ არ ახლავს ხარჯვის უწყისი თუ ვისზე გაიცა საქონელი, არ დასტურდება ვინ გამოიყენა, სად გამოიყენეს შესყიდული საქონელი.

2. 2020 წლის 10 ივლისის ხელშეკრულება N18 გაფორმებული ი.მ. ასლან ბოლქვაძესთან, საპოხი მასალების (მილი, შლანგი, თოკი, საკეტები, საპოხი მასალები და ა.შ.)

არ არის ხარჯვის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

3. 2020 წლის 7 სექტემბრის ხელშეკრულება N25 გაფორმებული შპს თეგეტამოტორსთან დირექტორი ჟორა რუხაძე, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების 4 ერთეული ავტომობილის ავტოტექმომსახურეობა 2390 ლარზე

   არ არის დეფექტური აქტი თუ რა სახის მომსახურეობა გაეწია და რომელ ავტომობილებს.

4. 2020 წლის 13 ივლისის ხელშეკრულებაN19 გაფორმებული ი.მ. ამილონა დეკანაძესთან, ჰიგიენური საშუალებების (პირბადე, სპირტი, საპონი და ა.შ.) შესყიდვა 1393 ლარზე.

   არ არის ხარჯვის უწყისი თუ ვისზე გაიცა ჰიგიენური საშვალებები, უნდა იყოს სახელობითი სია, უწყის და ხელწერები.

5. 2020 წლის 7 სექტემბრის ხელშეკრულება N29 გაფორმებული შპს „დემე" 2020 დირექტორი ჭაბუკა შავაძესთანი.მ. ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების მძიმე ტეხნიკის ტრაქტორის და ნაგავმზიდის საბურავების შეკეთება, ავტოტექმომსახურეობა 1000 ლარზე.

   არ არის დეფექტური აქტი, რომ აღნიშნულ ავტომობილებს ნამდვილად ესაჭიროება საბურავების შეკეთება.

6. 2020 წლის 13 ოქტომბერი ხელშეკრულება N28, გაფორმებული ი.მ. თენგიზ ბოლქვაძესთან, საკანცელარიო, საოფისო და სამეირნეო საქონელზე, 3354 ლარის ღირებულების. ჩამოწერა განხორციელებულია ხარჯვის უწყისის გაფორმების გარეშე. უნდა შედგეს სახელობითი ხარჯვის უწყისი, სადაც ხელს მოაწერენ პირები, რომლებზეც მოხდა მცირეფასიანი აქტივების გადაცემა, შემდგომ განხორციელდეს მისი ჩამოწერა.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების ცენტრამა მის ბალანსზე რიცხული აქტივების, ასევე ხელშეკრულებით შესყიდული აქტივების მიღება, მოხმარება, განაწილება, ჩამოწერა განახორციელოს პირველადი და საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოების გათვალისწინებით და მისი სრული დაცვით.

საწვავის ხარჯვა

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისების ბუღალტერი ყოველთვიურად ღებულობს 200 ლიტრ საწვავს ბენზინს, წლის ბოლოს დეკემბრის თვეში 400 ლიტრს, ჯამში 2019-2020 წლებში ბუღალტერს ორგანიზაციიდან მიღებული აქვს 5200 ლიტრი საწვავი, თანხობრივად ფასების ცვლილებეიდან გამომდინარე შეადგონა 9750 ლარი. რა კონკრეტული მიზნისთვის ეძლევა დაწესებულების ბუღალტერს ყოველთვიურად 200 ლიტრი საწვავი, სადმე არ არის გაწერილი.

დაწესებულება ახორციელებს ავტომობილების მიერ საწვავის ხარჯვას, საწვავის ხარჯვის უწყისში შეტანილია დაწესებულების ავტომობილების სპიდომეტრის

საწყისი და საბოლოო ჩვენებები, მათი სხვაობით გამოყავთ გავლილი მანძილი და შესაბამისად ხდება საწვავის ხარჯვა.

საწვავის ხარჯვის უწყისების შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები კერძოდ:

1. ექვსკავატორი BS 031 SB 2019 წლის ივლისის თვეში ხარჯვის საწყისი ჩვენება გაზრდილია 42 კმ-თ.აგვისტოს თვის საწყისი ჩვენება შემცირებულია 229 კმ-ით, ოქტომბრის თვის საწყისი ჩვენება შემცირებულია 1120 კმ-ით, ხოლო 2020 წლის იანვრის თვეში ტექნიკის საწყისი ჩვენება შემცირებულია 101 კილომეტრით.

2. ნაგავმზიდი RM 156 MR 2020 წლის იანვრის თვეში ავტომობილის სპიდომეტრის ჩვენება ხარჯვის უწყისში შემცირებულია 657 კმ-ით.

აღნიშნული ხარვეზები წარმოდგენილია დიაგრამის სახით სადაც გამოკვეთილად ჩანს ექვსკავატორის და ნაგავმზიდის მიერ გავლილი მანძილი და სპიდომეტრის ჩვენებები. (დანართი1. დანართი 2)





ავტომობილებზე სპიდომეტრების დაზიანების ფაქტებზე რაიმე დეფექტური აქტები, აღნიშნულ ფაქტებზე შესაბამისი მოხსენებითი ან რაიმე წერილი არ არსებობს.

არ არის კვლევა 1 კმ-ზე გახარჯული საწვავის რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა შედგეს კომისიურად, შესაბამისი სპეციალისტებიც უნდა მონაწილეობდნენ და ადასტირებდნენ.

პირადი მოსაზრება: აღნიშნული სპიდომეტრის კილომეტრაჟის ასეთი გარკვეული ვარდნები შესაძლოა გამოწვეული იყოს საბიუჯეტო სახსრების, საწვავის არარაციონალური ხარჯვის გამო, კილომეტრაჟის ხელოვნურად გაზრდით, რომ მეტი საწვავის ხარჯვა მოხდეს, ხოლო შემდგომ ჩვენების ვარდნა შესაძლოა განპირობებული იყო საწყის რეალურ ჩვენებასთან დასამთხვევად.

რეკომენდაცია:

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისებმა საწვავის ხარჯვა განახორციელოს მართლზომიერად და პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოების სრული დაცვით.

ინვენტარიზაცია

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების მიერ 2019-2020 წლებში ინვენტარიზაცია ჩატარდა შესაბამისად დეკემბრის თვეში. ინვენტარიზაცია განხორციელებულია ხარვეზებით, კერძოდ გამოუყენებელი და დაზიანებული მცირეფასიანი აქტივები ჩამოწერილია არასწორედ.

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების საკუთრებაში არსებული მის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის მიზნით დაწესებულების ხელმძღვანელი ამტკიცებს საინვენტარიზაციო კომისიის მიერ წარმოდგენილ ჩამოსაწერი მცირეფასიანი აქტივობების ნუსხას, რის საფუძველზეც ხორციელდება მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერა (მუხლი 6. პუნქტი4.).

დარღვეულია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ივლისის N22 დადგენილება, ხულოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმოო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის განსაზღვრის შესახებ.

რეკომენდაცია

ინვენტარიზაციის შედეგად, აქტივების ჩამოწერისას გაითვალისწინოს და იხელმძღვანელოს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ივლისის N 22 დადგენილებით, „ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციის, და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესით“.

განათების სისტემის მოვლა შენახვა, მატერიალურ ფასეულობათა მიღების, აღრიცხვის, დაცვის და გამოყენების მდგომარეობა

2019-2020 წლებში ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის სოფლებში მოწყობილი გარე განათების სისტემაზე მომსახურეობა. მომსახურეობას აწარმოებდა 18 ელექტრო მონტიორი. აღნიშნული პირები სისტემატიურად ახორციელებდნენ დაზიანებული მოწყობილობების და საჭირო ნაწილების გამოცვლას, რომლებზეც ხდებოდა საჭირო აქსესუარების გაცემა. აღნიშნული პროცესი განხორციელებულია აქტივების გაცემის დარღვევით, კერძოდ:

1. არა არის დეფექტური აქტები თუ სად ესაჭიროება აქსესუარების და საჭირო ნაწილების გამოცვლა (ნათურები, ელექტრო სადენი, რელე, ავტომატიური გამომრთველები და ა. შ.)
2. წლის განმავლობაში გაცემული აქსესუარები და მოწყობილობების გაცემის უწყისი გაკეთებულია წლის ბოლოს დეკემბრის თვეში.

2019 წელში ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მოწყობილი იყო 6054 (5345 იყო 2018 წელს 2019 ში დაემატა 709) ელექტრო განათების ბოძი, რომელზეც ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისები ხარჯავდა 108 923 ლარს (18 ელქტრომონტიორის ხელფასს დამატებული განათების მოწყობილობების, აქსესუარების და სხვა დეტალების ხარჯი). 2020 წელში აღნიშნული მიმართულებით ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების მიერ გაიხარჯა 136 177 ლარი, 27 254 ლარით მეტი, როდესაც დაწესებულაბას მომსახურეობაში დაემატა მხოლოდ 796 განათების ბოძი. უნდა აღინიშნოს რომ 2020 წელს გაკეთებულ, დამონტაჟებულ ბოძებს მომსახურეობა არ ესაჭიროება, ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე, ერთი წელი დამონტაჟებიდან მეწარმე ახორციელებს მასზე მომსახურებას.

2019 წელში ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების ელექტრო განათების სისტემის მოვლა შენახვისათვის განახორციელა 3 შესყიდვა. ხელშეკრულება N5 შპს „ლომსა“ 10030 ლარზე, ხელშეკრულება N5 შპს „ბასა“ 21684 ლარი, N43 შპს „სოლად“ 20485 ლარი, სულ ჯამში შესყიდულია 52 199 ლარის ელექტრო განათების მოწყობილობები და აქსესუარები.

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების მიერ წარმოდგენილია განათების აქსესუარების გაცემის უწყისით გახარჯული მარაგები, რომელიც შევადარეთ დაწესებულების მიერ შესყიდული აქსესუარების რაოდენობას, სადაც გამოიკვეთა ხარვეზები, კერძოდ:

1. ელსადენი სიპ 2*16 (1 მეტრი 1,451 ლარის ღირებულების) შესყიდული აქვთ 1950 მეტრი ელსადენი გახარჯულია 1450 მეტრი, ნაშთი უნდა დარჩენილიყო 500 მეტრი, არა არის.
2. ელსადენი ორმაგ იზოლაციით, ალუმინის 2*4 (1 მეტრი 0,413 ლარის ღირებულების), შესყიდულია 1000 მეტრი, გახარჯულია 700 მეტრი, ნაშთი 300 მეტრი არ არის.
3. ორმაგი განათების შარი (ბურთულა) სადგარით 1 ცალის ღირებულება 21,24 ლარი, შესყიდვით 70 ცალი, გახარჯულია 50 ერთეული, ნაშთი 20 ერთეული არ არის.

სულ ჯამში დაწესებულებას 2019 წელში ნაშთად უნდა დარჩენოდა 2883.88 ლარის ღირებულების მარაგები, რომელის სახეზე არ არის.

ასევე ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების მიერ 2019 წელში გახარჯულია გარკვეული ელექტრო მოწყობილობების სახით მარაგები, რომლის რაოდენობა აღემატება შესყიდულის რაოდენობას, ასეთებია

1. დიოდური ქუჩის სანათი (1 ცალი 67,26 ლარის ღირებულების) შესყიდულია 46 ერთეული, ხარჯვა კი ნაჩვენებია 56 ერთეული. 10-ით მეტი
2. განათების ფარი (1 ცალის ღირებულება29,3 ლარი) შესყიდულია 120 ერთეული ხარჯვაში კი 135 ერთეულია ნაჩვენები, 15 -ით მეტი.
3. ვიასკის კაბელი (1მეტრის ღირებულება 1,5 ლარი) შესყიდულია 50 მეტრი, ხარჯვაში კი ნაჩვენებია 250 მეტრი, 200 მეტრით მეტი

სულ ჯამში აღებული ზედმეტად გახარჯულის რაოდენობამ შეადგინა 1937,2 ლარი.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისებმა შეიმუშავოს კონტროლის მექანიზმი დაწესებულების აქტივების და მარაგების გაცემასა და ხარჯვაზე.

მომავალი წლის განათების სისტემის მომსახურეობის ხარჯის გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნას მომწყობი კომპანიის, მეწარმის ვალდებულებები მის შემდგომ გარკვეული ვადით მომსახურეობაზე.

სახელმწიფო შესყიდვები

2019 წელს ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისების მიერ განხორციელებულია 51 სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის 3 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე, კონსოლიდირებული ტენდერით გაფორმებულია 11 ხელშეკრულება საწვავზე (სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია), 36 გამარტივებული შესყიდვა. (ერთ პირთან მოლაპარაკებით).

2020 წელს ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისების მიერ განხორციელებულია 41 სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის 4 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე, კონსოლიდირებული ტენდერით გაფორმებულია 9 ხელშეკრულება საწვავზე (სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია), 28 გამარტივებული შესყიდვა. (ერთ პირთან მოლაპარაკებით).

გამარტივებული შესყიდვები განხორციელებულია ბაზრის კვლევის გარეშე, რითაც არა არის გათვალისწინებული, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, გამარტივებული შესყიდვების განხორციელების შესახებ.

შესყიდვების გეგმით CPV კოდი 18100000 (სამუშაო ტანსაცმელი სპეცტანსაცმელი და აქსესუარები) 2019 წელს გათვალისწინებული იყო 1919 ლარი გაფორმებულია ხელშეკრულება 4779 ლარზე. სხვაობა 2860 ლარი.

შესყიდვების გეგმით CPV კოდი 31500000 (გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები) 2019 წელს გათვალისწინებული იყო 53030 ლარი გაფორმებულია ხელშეკრულება 56480 ლარზე. სხვაობა 3450 ლარი.

შესყიდვების გეგმით CPV კოდი 34300000 (ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებსა და მის ძრავებზე) 2019 წელს გათვალისწინებული იყო 14810 ლარი გაფორმებულია ხელშეკრულება 14964 ლარზე. სხვაობა 154 ლარი

შესყიდვების გეგმით CPV კოდი 39200000 (ავეჯის აქსესუარები) 2019 წელს გათვალისწინებული იყო 1787 ლარი გაფორმებულია ხელშეკრულება 2213 ლარზე. სხვაობა 426 ლარი.

რეკომენდაცია

სახემწიფო შესყიდვები განხორციელდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა სრული დაცვით.

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა სრული დაცვით.

ხელშეკრულებების გაფორმება მოხდეს შესყიდვების გეგმის მიხედვით საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ცვლილება შესყიდვების გეგმაში და მის შემდეგ გაფორმდეს ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებამდე, მოხდეს ბაზრის კვლევა და გამოკვეთილი შედეგების შემდგომ განხორციელდეს შესყიდვა.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის
სამსახურის უფროსი: /ზვიად თავართქილაძე/

უფროსი სპეციალისტი: / სოფიკო ქონიაძე /